

კინგის ქართული ენის ოლიმპიადის I ტური

მე-7 კლასი

I სავარჯიშო. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: (30 ქულა)

ჩხიკვი და მტრედები

ერთმა ჩხიკვმა სამტრედეში შეიხედა და ნახა, მტრედებს გვარიანად ასმევ-აჭმევდნენ. ადგა, მტრედისფრად შეიღება და სამტრედეში შეფრინდა, იქნებ მეც მერგოს რამეო. სანამ ჩხიკვი ხმას ამოიღებდა, მტრედებს ისიც მტრედი ეგონათ და თავისიანად იგულვებდნენ. მაგრამ, ერთხელ, როგორც კი მტრედობა გადაავიწყდა და წამოიჩხავლა, მტრედებმა ერთი წიოკობა ატეხეს და სულ ცემით გამოაგდეს სამტრედედან. მშიერ-მწყურვალ ჩხიკვს რაღა დარჩენოდა?! ადგა და ისევ ჩხიკვებთან დაბრუნდა, მაგრამ ახლა თავისიანებმა იუცხოვეს სხვაფრად შეღებილი მოძმე და გააგდეს.

- როგორ გესმით „ გვარიანად ასმევ-აჭმევდნენ.“
 - კარგად კვებავდნენ.
 - კარგ გალიაში იყო.
 - საკვების მიღებას აძალებდნენ.
- რა სურვილი გაუჩნდა ჩხიკვს?
 - მტრედებთან ერთად უზრუნველად ეცხოვრა.
 - მტრედები გაემევებინა სამტრედედან.
 - მტრედები „ჩხიკვისფრად“ შეეღება.
- როგორ აღმოჩნდა ჩხიკვი სამტრედეში?
 - მტრედებმა დაჰატიყეს.
 - ერთ-ერთ მტრედს დაუმეგობრდა და მან მიიწვია საცხოვრებლად.
 - მოტყუებით შეაღწია მათთან.
- „თავისიანად იგულვებდნენ“ იგივეა, რაც:
 - ექვსის თვალთ უყურებდნენ.
 - არ უყვარდათ.
 - თავიანთ მოკეთედ თვლიდნენ.
- რამ გამოიწვია „წიოკობა“ სამტრედეში?
 - მტრედებს საკვები გამოელიათ.
 - მტრედები მიხვდნენ, რომ ჩხიკვი ატყუებდა მათ.
 - სამტრედე ძალზე პატარა იყო.
- სად გაფრინდა სასოწარკვეთილი ჩხიკვი?
 - სხვა მტრედებთან.
 - ჩხიკვებთან.
 - არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- რატომ იუცხოვეს ჩხიკვებმა ახლადმისული?
 - მტრედი ეგონათ, ვერ იცნეს.
 - საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონდათ.
 - ჩხიკვი მათთან არ მისულა.
- ნაწარმოების მიხედვით, ჩხიკვი არ არის:
 - ზარმაცი
 - მატყუარა
 - შრომისმოყვარე
- „ ჩხიკვი და მტრედები“ არის:
 - პოემა
 - იგავ-არაკი
 - რომანი

10. რა არის ნაწარმოების მორალი?

ა. გაუმადლარი ადამიანი იმასაც დაკარგავს, რაც აქვს.

ბ. მეგობრები შეიძლება დაივიწყო და მიატოვო ისინი.

გ. უნდა ეცადო არ იშრომო და სხვების მოტყუების ხარჯზე იცხოვრო.

II სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: (10 ქულა)

11. „ტყემალზე ზის“ ანუ

ა. ხილი უყვარს

ბ. არაფერი გაეგება

გ. სიმაღლის ეშინია

12. „ძალიან პატარა“ ანუ

ა. იოტისოდენა

ბ. ნივრისოდენა

გ. მძიმისოდენა

13. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა „გლახის ნაამბობი“?

ა. აკაკი წერეთელი

ბ. რევაზ ინანიშვილი

გ. ილია ჭავჭავაძე

14. რა ჰქვია ნაწარმოებს, რომლის მთავარი პერსონაჟი ბუზებს ითვლიდა?

ა. „კაცია-ადამიანი?!“

ბ. „ბაში-აჩუკი“

გ. „გმირთა ვარამი“

15. ვის უწოდა კონსტანტინე გამსახურდიამ „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“?

ა. ვახტანგ გორგასალს

ბ. ექვთიმე თაყაიშვილს

გ. ქეთევან დედოფალს